ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4300329

ნომერი: AR1647778

თარიღი : 04.12.2018

გაცემის თარიღი : 11.12.2018

გაცნობის თარიღი : 14.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , N8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- პავილიონი
- IV კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: პავილიონი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი კვიწინაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ''თერგი-1"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 201945244
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ჯემალ ქადაგიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01007002352

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 489304
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 27.12.2012

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 489304 (ბოლო # 1744526 თარიღი 02/20/2015)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.12.2012

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან ბრძანებაში №489304 ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი კ-2 კოეფიციენტის ფართებთან დაკავშირებით საჭიროა მიმართოთ სამსახურს შესაბამისი განაცხადით.

1.სატიტულო ინფორმაცია. -> .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალპროფილიანი სავაჭრო-საოფისე ცენტრი

2.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ ფოტომასალა გადაღებული შენობის ყველა მხრიდან. ყველა ფასადი სათითაოდ. ფოტოებს მიაწერეთ ფასადის სახელწოდება და თარიღი. გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ მშენებლობა ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით წარმოადგინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის (ყოფ. ზედამხედველობის სამსახურის) მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო სამსართალდარღვევასთან დაკავშირებით და შესაბამისი სანქციის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

3.მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.: ამოიღეთ უკვე შესრულებული სამუშაოები.

5."მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-81 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში. კერძოდ, აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-5 პუნქტის თანახმად მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 4 (ოთხი) ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – 5 (ხუთი) ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გადაიხადეთ მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი კ2 კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობის ოთხმაგი ოდენობით და თქვენს მიერ ამ განცხადებაზე გადახდილი თანხის და AR1632475 განაცხადზე გადახდილი თანხის გამოკლებით. მის მერე, რაც შესწორდება კ-2 ფართები შეთანხმებულ პროექტში მოსაკრებელი იანგარიშეთ შეთანხმებულ პროექტში არსებული და საპროექტო ფართობის სხვაობა 1კვ.მ 4 ლარის ოდენობით.

6.ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: შესაბამის ველში უნდა აიტვირთოს სრულყოფილი "ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება", წარმოდგენილი დასკვნა მწირია, უსისტემო და მოიცავს არასკმარის ინფორმაციას უშუალოდ საპროექტო შენობის კონსტრუქციული გაანგარიშებისა და შესრულებული პროექტის/ნახაზების შესახებ. (ასევე არ აქხლავს ექსპერტის დიპლომი);

გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.